თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-33294-22
05 / 05 / 2022

მოქალაქე დათო ბაირამაშვილს

ბატონო დათო,

თქვენი მიმდინარე წლის 26 აპრილის №02-13-33294-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ. თბილისი, ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი №5-ის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი №01.17.10.002.296) დაგეგმილ სამშენებლო სამუშაოებთან დაკავშირებით წარმოდგენილი გენგეგმის დამოწმებას გაცნობებთ, რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯის“ კუთვნილი მოქმედი მიწისზედა გაზსადენები.

კომპანია არ არის წინააღმდეგი აწარმოოთ სამუშაოები იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის დაწყებამდე გაზსადენები გადატანილი იქნება თქვენი საკადასტრო ერთეულის წითელი ხაზებიდან გენგეგმაზე დატანილი მარშრუტის შესაბამისად, რათა დაცული იყოს საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის №1-1/525 ბრძანების - „გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების“ წესები და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 22 იანვრის დადგენილება №101 (გაზის სისტემების უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე).

მოთხოვნის თანახმად გიგზავნით ბეჭდით დამოწმებულ გენგეგმას და აქვე გაცნობებთ, რომ შეთანხმება ძალაშია წერილში მითითებული პირობების გათვალისწინებით და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

დანართი: დამოწმებული გენგეგმა-1 ფურცელი.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში



გენგეგმა
მ 1:500
საპროექტო ხაზობრივი ნაგებობა
გაზსადენის მილი
არსებული ხაზობრივი ნაგებობა
გაზსადენის მილი
მიწისქვეშა სართულის კონტური
ასფალტის გზა
trotuari
ezo
საპროექტო მრავალბინიანი სახლი
13.62
4.49
2.31
19.658
56.323 m²
შეთანხმებულია
შპს თბილისიენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ტექნიკური დოკუმენტაცია
სარეგისტრაციო № 02-13-33294-22
051 05 2022 წ.

გაცემის თარიღი

12.04.2022

განხილვის საგანი :	სამუშაოების წარმოებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	ოთარ ჯანაშვილი 12001008785
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1890364
გასაჩივრების წესი :	ამ ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული პირის მიერ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1890364

1. დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობითი თხოვნა და მიეცეს თანხმობა განახორციელოს ქ. თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, #5 კორპუსის (ს/კ: 01.17.10.002.296) მიმდებარედ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, გზის და ტროტუარის მოწყობის / ტერიტორიის კეთილმოწყობის მიზნით საჭირო სამუშაოები, დანართში მონიშნულ სავარაუდო მონაკვეთზე, სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსთან და ქალაქ თბილისის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტთან შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემის შესაბამისად, ტერიტორიაზე განთავსებული ხაზობრივი ნაგებობების და მწვანე ნარგავების დაუზიანებლად.
2. აქტი ძალაშია მისი გაცნობიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადით.

(ელექტრონული ფორმით გაცემული აქტის გაცნობისთვის დაინტერესებულ მხარეს განესაზღვრება ვადა - სააგენტოს მიერ აქტის გამოცემიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ოდენობით. თუ აღნიშნულ ვადაში დაინტერესებული პირი აქტს არ გაეცნობა აქტი ითვლება ძალადაკარგულად.)

საფუძველი:

“ცალკეული ხაზობრივი ნაგებობის განთავსების, სამუშაოების წარმოების ან/და მათი შემდგომი რეგისტრაციის თაობაზე თანხმობის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-75 დადგენილება; “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი



გამოსაყენებელი ტერიტორია. ფართობი: 53.2 კვ.მ.

ტოპო გეგმა



პირობითი აღნიშვნები

- ჭა
- q.s-q.a შენობა ნაგებობა
- 0.10 el gadamcemi xazi
- ელ ხაზი
- ელ ბოძი
- გაზი
- ხე ფოთლოვანი
- ხე წიწვოვანი
- ბუჩქები
- ნერგები
- კუნძი
- პალმა
- ონკანი
- ნაკვეთის საზღვარი
- რეგ. ნაკვეთი
- რელიეფი
- ასფალტის გზა
- გრუნტის გზა
- ხის ღობე
- ლითონის ღობე
- ქვის ღობე
- წყალი
- კანალიზაცია
- ფლატე
- UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდინატები

nakveTis sak. kodi: 01.17.10.002.296

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

აზომილი ფართობი	1430kv.m
მიწის ნაკ. დანიშნულება.	
მისამართი	q.Tbilisi, vazisubnis dasaxleba korp.#5 is mimdebared
22.10.2018 w.	

შ.პ.ს „იზოგრაფიკი"
საიდ.კოდი 400137838
izographic@gmail.com

აზომა		გ.თამარაშვილი
დახაზა		გ.თამარაშვილი
დაინტერესებული პირი		S.p.s ,,jeo development grupi"

წერილის ნომერი: **18-01220742930**
თარიღი: **15/03/2022**
პინი: **7042**

ადრესატი: დავით ბაირამაშვილი
პირადი ნომერი: 01024066547
მისამართი: ქ. თბილისი, დ. ჭონქაძის ქუჩა #10ა, ბინა #28

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ზოგადი ინფორმაცია	
განცხადების ნომერი:	N19/01220523321-18; 19/01220142181-18
განცხადების თარიღი:	21 თებერვალი, 2022; 14 იანვარი, 2022
განმცხადებელი:	დავით ბაირამაშვილი
მისამართი	ქ. თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, კორპუსი #5, მიმდებარედ
საკადასტრო კოდი	01.17.10.002.296 მიმდებარედ
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	გზის გაყვანის მიზნით მწვანე ნარგავების მოჭრა/გადარგვა
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე	დაურეგისტრირებული ტერიტორია
მწვანე ნარგავ(ებ)ის სახეობა, რაოდენობა	2 (ორი) ძირი
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	საექსპერტო დასკვნა შპს ,,დემასო ვუდის“ თანხმობა ხეების გადარგვის თაობაზე გადარგვის ტექნიკური დოკუმენტაცია სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს გადაწყვეტილება საგზაო მოძრაობის სქემები სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების მართვის სააგენტოს გადაწყვეტილება
დასკვნა:	
დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი, საქართველოს კანონის ,,ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის

შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 და მე-5 პუნქტები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-55 დადგენილებით დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის“ (შემდგომში მოხსენებული, როგორც ,,დადგენილება“) მე-19 მუხლის პირველი პუნქტის ,, გ “, ,,დ“ ქვეპუნქტები, დადგენილების მე-19[1] მუხლი, მე-20 მუხლი, 21-ე, 21[1]-ე, 21[2]-ე მუხლები.

სამსახურის პოზიცია

წარმოდგენილი საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, ვინაიდან მცენარეების გადარგვას ენიჭება უპირატესობა მოჭრასთან მიმართებით, ხოლო ამგვარი გზით ნარჩუნდება ტერიტორიაზე არსებული ეკოლოგიური წონასწორობა, ასევე, მცენარეების გადარგვის შესაძლებლობა და გადარგვის შემდგომ გახარების ალბათობა დადასტურებულია ექსპერტის მიერ, შესაბამისად, **სამსახური თანახმაა**, გზის გაყვანის მიზნით გასცეს **1 ძირი მწვანე ნარგავის *(ნეკერჩხალი ამერიკული #1-35სმ) მიმდებარე ტერიტორიაზე გადარგვის ნებართვა.***

აქვე მოგახსენებთ, რომ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, ***სამსახური თანახმაა*** *გზის გაყვანის მიზნით* ***მოიჭრას 1 (ერთი) ძირი მწვანე ნარგავი (N3 ტყემალი-14სმ).***

რაც შეეხება წარმოდგენილი სქემის შესაბამისად მწვანე ნარგავების დარგვას მოგახსენებთ, რომ სამსახურს დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ნარგავების დარგვა მიზანშეწონილად არ მიაჩნია.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

გიგა გიგაშვილი

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
(საქალაქო სამსახურის უფროსი)

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტოპო გეგმა



შეთანხმებულია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით ჩვენს წარმომადგენელს
ტელ.: 595327675
16 03 2022 წ.

პირობითი აღნიშვნები

- ჭა
- q.s-q.a შერობა ნაგებობა
- 0.10 el gadamcemi xazi
- ელ ხაზი
- ელ ბოძი
- გაზი
- ხე ფოთლოვანი
- ხე წიწვოვანი
- ბუჩქები
- ნერგები
- კუნძი
- პალმა
- ორგანი
- ნაკვეთის საზღვარი
- რეგ. ნაკვეთი
- რელიეფი
- ასფალტის გზა
- გრუნტის გზა
- ხის ღობე
- ლითონის ღობე
- ქვის ღობე
- წყალი
- კანალიზაცია
- ფლატე
- UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდინატები

nakveTis sak. kodi: 01.17.10.002.296

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

აზომილი ფართობი	1430kv.m	შ.პ.ს „იზოგრაფიკი" საიდ.კოდი 400137838 izographic@gmail.com		
მიწის ნაკ. დანიშნულება.		აზომა		გ.თამარაშვილი
მისამართი	q.Tbilisi, vazisubnis dasaxleba korp.#5 is mimdebared	დახაზა		გ.თამარაშვილი
22.10.2018 w.		დაინტერესებული პირი		S.p.s „jeo development grupi"

ტოპო გეგმა



შეთანხმებულია
შპს "თბილსერვის ჯგუფი"
სამუშაოების დაწყების წინ დაუკავშირდით ჩვენს წარმომადგენელს
ტელ.: 595102625
16 03 2022 წ.

პირობითი აღნიშვნები

ჭა
შენობა ნაგებობა
0.10 el gadamcemi xazi
ელ ხაზი
ელ ბოძი
გაზი
ხე ფოთლოვანი
ხე წიწვოვანი
ბუჩქები
ნერგები
კუნძი
ნაკვეთის საზღვარი
ფაქტ. ნაკვეთი
ასფალტის გზა
გრუნტის გზა
ხის ღობე
ლითონის ღობე
ქვის ღობე
წყალი
კანალიზაცია
ფლატე

nakveTis sak. kodi: 01.17.10.002.296

WGS 1984-ის კოორდინატთა სისტემის UTM პროექცია

აზომილი ფართობი	1430kv.m	შ.პ.ს „იზოგრაფიკი" საიდ.კოდი 400137838 izographic@gmail.com	
მიწის ნაკ. დანიშნულება		აზომა	გ.თამარაშვილი
მისამართი	q.Tbilisi, vazisubnis dasaxleba korp.#5 is mimdebared	დახაზა	გ.თამარაშვილი
22.10.2018 w.		დაინტერესებული პირი	S.p.s „Jeo development grupi"

თბილისი ენერჯი

მიცკევიჩის ქ.№18ა, თბილისი, 0194, საქართველო
ს/კ 205129617; +995 (32) 2404004; info@te.ge; www.te.ge

№ 02-13-7232-22
11 / 02 / 2022

მოქალაქე ბაირამაშვილი დავითს

ბატონო დავით,

თქვენი მიმდინარე წლის 28 იანვრის №02-13-7232-22 განცხადების პასუხად, რომელიც ეხება ქ.თბილისი, ვაზისუბნის მე-5 კორპუსის მიმდებარედ მიწის ნაკვეთზე (საკ.კოდი №01.17.10.002.296) მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მოპოვებას, გაცნობებთ რომ აღნიშნულ საკადასტრო ერთეულს კვეთს შპს „თბილისი ენერჯის“ მოქმედი მიწისზედა საშუალო წნევის D=40 მმ-იანი, გაზსადენი.

აქვე გაცნობებთ, რომ სამშენებლო სამუშაოების წარმოებამდე საჭიროა განხორციელდეს აღნიშნული გაზსადენის წითელი ხაზებიდან გადატანა, რასთან დაკავშირებითაც უნდა მოგვმართოთ გაზსადენის გადატანის/ქსელის რეკონსტრუქციის შესახებ განაცხადით. თქვენი მხრიდან საპროექტო და სამშენებლო სამუშაოების თანხების სრულად ანაზღაურების და საჭიროების შემთხვევაში, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიიდან სამუშაოების წარმოებისთვის აუცილებელი ნებართვების მოპოვების შემთხვევაში, შპს „თბილისი ენერჯი“ მზად არის განახორციელოს აღნიშნული სამუშაოები.

კომპანია სამშენებლო სამუშაოების წარმოებაზე თანხმობას გასცემს მას შემდგომ რაც თქვენი მხრიდან გათვალისწინებული იქნება ჩვენი მოთხოვნები.

პატივისცემით,

გიგლა თამაზაშვილი
დირექტორი ტექნიკურ საკითხებში

დანართი № 1

დამტკიცებულია
შპს „თბილისი ენერჯის“
გენერალური დირექტორის
2021 წლის 9 მარტის № 19 -დ ბრძანებით

შპს თბილისი ენერჯი
TBILISI ENERGY LTD
ს/კ 205129617
№6
29/ 03 20 22

ხელშეკრულება №001-02-01-20134-22
გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მომზადების შესახებ

29/03/2022 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ შპს „თბილისი ენერჯი“ (შემდგომში - „შემსრულებელი“), და მეორე მხრივ **შპს „მოლი პლიუსი“** ს/კ **406284248** (შემდგომში - „დამკვეთი“), დირექტორი: ოთარ ჯანაშვილი პ/ნ:12001008785 შემდგომში ერთობლივად, „მხარეებად“, ხოლო ცალ-ცალკე – „მხარედ“ წოდებულნი, ვმოქმედებთ რა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია შემსრულებლის მიერ დამკვეთის ობიექტის მისამართი **ვაზისუბნის დასახლება, კორპუსი 5 მიმდებარედ** , საკადასტრო კოდი **01.17.10.002.296** გაზმომარაგების საინჟინრო პროექტის მომზადება (შემდგომში - „მომსახურება“), შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ.

2. მომსახურების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი

2.1. მომსახურების ღირებულება შეადგენს **600** ლარს და მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

2.2.დამკვეთის მიერ მომსახურების ღირებულების გადახდა ხორციელდება ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 2 (ორი) სამუშაო დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებული საბანკო რეკვიზიტებზე თანხის ჩარიცხვის გზით (გადახდის ოპერაციის დანიშნულებაში ხელშეკრულების რეკვიზიტების მითითებით).

3. მხარეთა ძირითადი ვალდებულებები და უფლებები

3.1. შემსრულებელი ვალდებულია:

3.1.1 მომსახურება განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

3.1.2 აცნობოს დამკვეთს ნებართვების/თანხმობების მოპოვების და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის შესახებ, ასევე ნებართვის მომპოვებელი მხარის შესახებ ინფორმაცია;

3.1.3.შეასრულოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

3.2. შემსრულებელი უფლებამოსილია:

3.2.1. მომსახურების გაწევის პროცესში, დამკვეთთან შეუთანხმებლად, ჩართოს მესამე პირი (ქვეკონტრაქტორი), იმის გათვალისწინებით, რომ შემსრულებელი პასუხს აგებს ქვეკონტრაქტორთა ქმედებებზე, როგორც საკუთარზე;

3.2.2. მოითხოვოს დამკვეთისაგან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულება.

3.3. დამკვეთი ვალდებულია:

3.3.1. გადაიხადოს მომსახურების ღირებულება ხელშეკრულების მე-2 მუხლის შესაბამისად;

3.3.2. შემსრულებლის მიერ წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობის დადგენის შემთხვევაში, მოთხოვნიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში, გადაიხადოს მოცემული სამუშაოების საფასური, თუ კანონმდებლობის შესაბამისად, აღნიშნულის უზრუნველყოფა არ წარმოადგენს შემსრულებლის ვალდებულებას;

3.3.3. მიაწოდოს შემსრულებელს გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აუცილებელი დოკუმენტები (ტერიტორიის გენ. გეგმა მიწისქვეშა კომუნიკაციების მითითებით, იმ სართულ(ებ)ის გეგმა, სადაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ხელსაწყოების მონტაჟი და სხვა);

3.3.4. მოიპოვოს და გადასცეს შემსრულებელს პროექტირებასთან/სამონტაჟო სამუშაოების წარმოებასთან დაკავშირებული ნებართვა/თანხმობა/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილება, თუ აღნიშნულის მოპოვება კანონმდებლობის შესაბამისად არ წარმოადგენს მხოლოდ შემსრულებლის ვალდებულებას;

3.3.5. უზრუნველყოს შემსრულებლის მიერ სამუშაოების დაუბრკოლებლად წარმოებისათვის საჭირო პირობების შექმნა.

3.4. დამკვეთი უფლებამოსილი:

3.4.1. ნებისმიერ დროს შეამოწმოს შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მდგომარეობა.

3.4.2. მოითხოვოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება.

4. მომსახურების გაწევის ვადა

4.1. შემსრულებელმა უნდა უზრუნველყოს მომსახურების გაწევა დამკვეთის მიერ ანგარიშსწორების განხორციელებისა და შემსრულებლისათვის გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოსამზადებლად აუცილებელი დოკუმენტების (ტერიტორიის გენ.გეგმა მიწისქვეშა კომუნიკაციების მითითებით, იმ სართულ(ებ)ის გეგმა, სადაც ხორციელდება ბუნებრივი გაზის ხელსაწყოების მონტაჟი, თანხმობ(ებ)ი/ნებართვ(ებ)ი/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილება და სხვა) წარდგენის თარიღიდან **18 (თვრამეტი)** სამუშაო დღის განმავლობაში.

4.2. თუ პროექტის მოსამზადებლად საჭირო თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის წარდგენის და წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა დადგენილ იქნა პროექტირების პროცესში, ამ მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული შესრულების ვადა შეჩერდება და მისი დინება განახლდება დამკვეთის მხრიდან შესაბამისი თანხმობ(ებ)ის/ნებართვ(ებ)ის/მშენებლობის შეტყობინებაზე გადაწყვეტილების შემსრულებლისათვის გადაცემის ან წინასაპროექტო სამუშაოების ჩატარებისთანავე, თუ კანონმდებლობით სხვა რამ არ არის განსაზღვრული.

4.3. წინასაპროექტო და პროექტირების სამუშაოების შესრულების ვადა ჩერდება დამკვეთის მიერ გასატარებელი სხვა ღონისძიებების (ობიექტის დაშვების უზრუნველყოფა და სხვა) ვადით, რის თაობაზეც შემსრულებელი დამკვეთს განუსაზღვრავს გონივრულ ვადას ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

4.4. წინასაპროექტო ან პროექტირების სამუშაოების შესრულების ვადა ასევე ჩერდება ფორს-მაჟორული და სხვა ობიექტური გარემოებების (რომელიც შეუძლებელს ხდის სამუშაოთა წარმოებას) არსებობის შემთხვევაში.

4.5. მოცულობისა და სირთულის გათვალისწინებით, საპროექტო სამუშაოების ვადა შეიძლება გაიზარდოს, რის შესახებაც, კონკრეტული ვადის მითითებით დამატებით ეცნობება დამკვეთს.

4.6. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელის შემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

5. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

5.1.მომსახურება გაწეულად ჩაითვლება მხარეთა მიერ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის თარიღიდან.

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დამკვეთი, მისთვის მიღება-ჩაბარების აქტის გადაცემიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, ხელს არ მოაწერს აღნიშნულ აქტს ან იმავე ვადაში წერილობით არ დაასაბუთებს მის ხელმოწერაზე უარის მიზეზს, მაშინ მიღება-ჩაბარების აქტი ჩაითვლება ხელმოწერილად, ხოლო მომსახურება ჯეროვნად გაწეულად.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შედეგად მიყენებული ზიანისათვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

6.2. მხარეები მიიღებენ ყველა შესაძლო ზომას, რათა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი სადავო საკითხი გადაწყვიტონ მოლაპარაკების გზით. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის განმავლობაში მხარეთა შორის შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული, მაშინ ნებისმიერ მათგანს უფლება აქვს დავის გადასაწყვეტად მიმართოს საქართველოს საერთო სასამართლოს.

7.ფორს–მაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (შემდგომში - „ფორს–მაჟორული გარემოებები“) მოქმედებით (სტიქიური უბედურება, საომარი მოქმედება, სახელმწიფოს უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილება და სხვა), რამაც შეუძლებელი გახადა ხელშეკრულების შესრულება.

7.2. ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომის ან შეწყვეტის შემთხვევაში შესაბამისი მხარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს.

7.3. ფორს–მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მოქმედების შეჩერება ან შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს იმ ვალდებულებების შესრულებისაგან, რომლებიც წარმოიშვა ფორს–მაჟორული გარემოებების დადგომამდე.

8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

8.2. ხელშეკრულება შეიძლება ვადაზე ადრე შეწყდეს:

8.2.1 მხარეთა ურთიერთშეთანხმებით;

8.2.2 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებების 1 (ერთი) თვეზე მეტი დროით გაგრძელების შემთხვევაში;

8.2.3 ერთ-ერთი მხარის ინიციატივით, მეორე მხარის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში;

8.2.4 . დამკვეთის მიერ ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.2. პუნქტით და/ან მე-3 მუხლის 3.3. პუნქტის 3.3.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ვადაში მომსახურების ღირებულების გადაუხდელობის შემთხვევაში, ავტომატურად;

8.2.5 შემსრულებლის მიერ ცალმხრივად, მე-4 მუხლის 4.3. პუნქტით გათვალისწინებული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ.

8.2.6. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საფუძვლით.

8.3. ამ მუხლის 8.2 პუნქტის 8.2.2, 8.2.3 და 8.2.5 ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების მოშლის ინიციატორმა მეორე მხარეს უნდა გაუგზავნოს წინასწარი წერილობითი შეტყობინება ხელშეკრულების შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე.

8.4. თუ ხელშეკრულება ვადაზე ადრე შეწყდება შემსრულებლის ინიციატივით, დამკვეთის მიერ სახელშეკრულებო ვალდებულებების შეუსრულებლობის/არასათანადოდ შესრულების გამო, ან დამკვეთის მოთხოვნით, თუ ეს მოთხოვნა განპირობებული არ არის შემსრულებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევით, მაშინ დამკვეთი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს შემსრულებელს ხელშეკრულების შეწყვეტამდე გაწეული ხარჯები და ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანი.

9. განსაკუთრებული პირობა

9.1.თუ ხელშეკერულება წყდება დამკვეთის მიერ მე-3 მუხლის 3.3. პუნქტის 3.3.2 ქვეპუნქტით განსაზღვული სამუშაოების ღირებულების აუნაზღაურებლობის გამო, ხელშეკრულების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვისა დამკვეთს დაუბრუნდება მე-2 მუხლის 2.2 პუნქტის შესაბამისად გადახდილი მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების მე-8 მუხლის 8.4 პუნქტის საფუძველზე წარმოშობილი მოთხოვნების გაქვითვის გათვალისწინებით.

9.2. შემსრულებლის მიერ მომზადებული გაზიფიცირების საინჟინრო პროექტის მოქმედების ვადად განისაზღვრება 6 (ექვსი) თვე და ამ ვადის გასვლის შემდეგ ითვლება ძალადაკარგულად.

9.3 დამკვეთი ადასტურებს, რომ შემსრულებელმა მას დეტალურად გააცნო საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გამანაწილებელ ქსელზე მიერთების პროცედურა, მათ შორის, გაზიფიცირების საპროექტო, სამშენებლო და სამონტაჟო სამუშაოების შესრულების ვადები და თანმიმდევრობა, აგრეთვე დამკვეთისა და შემსრულებლის ძირითადი ვალდებულებები და უფლებები.

10. დასკვნითი დებულებები

10.1. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დამკვეთი აცხადებს თანხმობას იმის თაობაზე, რომ ხელშეკრულების საფუძველზე შპს „თბილისი ენერჯის“ მიერ განხორციელებული სამონტაჟო-სამშენებლო სამუშაოების შედეგად არსებული/მოწყობილი ხაზობრივი ნაგებობები დამკვეთის კუთვნილ/მფლობელობაში არსებულ დაცულ ტერიტორიამდე (წითელ ხაზამდე) წარმოადგენს შპს „თბილისი ენერჯის“ საკუთრებას და მას ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ენიჭება უფლებამოსილება

განახორციელოს ყველა საჭირო მოქმედება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღნიშნული ხაზობრივი ნაგებობის რეგისტრაციისა და შემდგომ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად მისი ექსპლუატაციის და გამართული ფუნქციონირებისათვის.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებ(ებ)ის/დამატებ(ებ)ის შეტანა შესაძლებელია მხარეთა შორის დამატებითი წერილობითი შეთანხმების გაფორმების გზით.

10.3. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, დოკუმენტი ან სხვა სახის მიმოწერა ითვლება სათანადოდ გაფორმებულად, თუ იგი შესრულებულია წერილობითი ფორმით და გაგზავნილია ხელშეკრულების მე-11 მუხლში მითითებულ შესაბამის მისამართზე.

10.4. ხელშეკრულებით მოუწესრიგებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობის, შესაბამისად.

10.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 2 (ორი) იდენტური ეგზემპლარის სახით, თითოეული მხარისათვის.

11. მხარეთა იურიდიული რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსრულებელი:
შპს „თბილისი ენერჯი“
მისამართი: ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. №18ა
ს/კ 205129617,
საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“
ბ/კ BAGAGE22,
ანგარიშის № GE81BG0000000173317400
ელ.ფოსტა: info@te.ge
ტელ: 2 40 40 04

შპს „თბილისი ენერჯი“

დამკვეთი:
შპს „მოლი პლიუსი“
მისამართი: **ვაზისუბნის დასახლება**
ს.კ 406284248
საბანკო რეკვიზიტები:
ანგარიშის № ----------
ელ.ფოსტა:datobairamashvili@yahoo.com
ტელ:599201139

განმარტებითი ბარათი

წინამდებარე პროექტი (დაკვეთა: №02-01-20134-22) ითვალისწინებს, დასახლება ვაზისუბანი კორპ. N5-ის მიმდ. ქსელის რეკონსტრუქციას. საკ.კოდი:01,17,10,002,296

პროექტში გათვალისწინებულია D=75 მმ. L=33,0, D=63 მმ. L=33,0 და D=50 მმ. L=55,0 საშუალო წნევის მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობა. სამუშაოები იწარმოება სრულიად გრუნტიან მონაკვეთზე, აღნიშნულ გზის მონაკვეთზე გხვდება ბორდიური ტროტუარი და ხეები. შეჭრა ხორციელდება მიწისზედა ფოლ. საშუალო წნევის ძ=70 და ძ=50 გაზსადენში. აღნიშნული გზის მონაკვეთზე მიწისქვეშ გვხდება ინტერნეტი. პროექტი ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის მინიმალური ზიანით გაზსადენის გაყვანას.

საქართველოს მთავრობის 2019 წლის 11 ოქტომბრის N491 დადგენილების თანახმად პროექტში გათვალისწინებულია საშუალო წნევის გაზსადენის მშენებლობა, რომლის შიდა დიამეტრი არ აღემატება 100მმ-ს, შესაბამისად წარმოადგენს I კლასის ხაზობრივ ნაგებობას.

პროექტი შედგენილია საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების გათვალისწინებით (снип 2.04.08-87), შესაბამისად გაზის მეურნეობაში არსებული უსაფრთხოების წესების დაცვით.

აღნიშნული მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობის სამუშაოების შემდეგ, არსებული ინფრასტრუქტურა დაუბრუნდება პირვანდელ სახეს.

იხილეთ თანდართული ფაილები.

1) Pdf
2) ფოტომასალა

.

პროექტანტი: /კ.ბატიაშვილი

თბილისი ენერჯი

TBILISI ENERGY

დაკვეთა № 02-01-20134-22

2

20070,33

დასახლება ვაზისუბანი, კორპ. №5-ის მიმდ.
საკ.კოდი №01.17.10.002.296
შპს "მოლი პლიუსი"

ქსელის რეკონსტრუქცია

შ.პ.ს. "ენერჯი ქონსთრაქშენის"
დირექტორი _____ დ.გვაძაბია



ცხელი ხაზი: (032) 240 40 04
საავარიო სამსახური 114
ქ. თბილისი, მიცკევიჩის ქ. #18ა
www.te.ge

თბილისი, 2022 წელი

გენგეგმა მ 1:500


მიწრმთმება არს. ს/ფ
მიწის ზედაპირის გაწმენდა
d=70xd=70-000.
(იხ.აქს სქემა)
მიწრმთმება არს. ს/ფ
მიწის ზედაპირის გაწმენდა ბუჩქების
d=50xd=50-000.
(იხ.აქს სქემა)
მიწრმთმება არს. ს/ფ
მიწის ზედაპირის გაწმენდა ბუჩქების
d=40xd=40-000.
(იხ.აქს სქემა)
ასფ.
არს. საყრდენი
კონს. ხაშტაკი
d=75xd=50
ასფ.
ბეტონის ფილა
ასფ.
ბეტონი
ასფ.
ბეტონი
ასფ.
ბეტონი

აქსონომეტრიული სქემა მ 1:50



13	სადემონტაჟო საყრდენი d=50 5ც			გრძ/მ		15,0
12	სადემონტაჟო გასაზდენი d=70/d=50/d=40			გრძ/მ		31/31/55
11	მიერთება არს. ს/წ. მიწისზედა. გაზსადენში d=50x50-ით.			ადგ.		1
10	მიერთება არს. ს/წ. მიწისზედა. გაზსადენში d=70x70-ით.			ადგ.		1
9	მიერთება არს. ს/წ. მიწისზედა. გაზსადენში d=40x40-ით. მუხლით			ადგ.		1
8	მიერთება არს. ს/წ. მიწისზედა. გაზსადენში d=50x50-ით. მუხლით			ადგ.		1
7	მიერთება არს. ს/წ. მიწისზედა. გაზსადენში d=70x70-ით. მუხლით			ადგ.		1
6	მიწისზედა გაზსადენის შეღებვა ზეთოვანი საღებავით 2-ფენად			მ²		2,71
5	გაზსადენის გაყვანა და გამოცდა			გრძ/მ		151,0
4	მიწის გატანა			მ³		73,160
3	ტრანშეის შევსება ბალასტით			მ³		48,40
2	ბალიშის მოწყობა და მილის დაფარვა ქვიშით			მ³		23,680
1	ტრანშეის გათხრა მექანიზმებით 90% და ხელით 10% (L=88,0)			მ³		73,160
№	სამუშაოთა დასახელება			განზ.		რაოდენობა
სამუშაოთა მოცულობა						
26	25521	---	სასიგნალო ლენტი	121,0	---	მ/მ
25	25521	---	პოლ. გარეცმის მილი d=90	55,0	---	მ/მ
24	25521	---	პოლ. გარეცმის მილი d=110	33,0	---	მ/მ
23	25521	---	პოლ. გარეცმის მილი d=125	33,0	---	მ/მ
22	---	---	ქურო d=50	4	---	ც
21	---	---	ქურო d=63	10	---	ც
20	---	---	ქურო d=75	12	---	ც
19	21217	---	მუხლი(პოლიეთილენის) d=50 90°	1	---	ც
18	21217	---	მუხლი(პოლიეთილენის) d=63 90°	4	---	ც
17	21217	---	მუხლი(პოლიეთილენის) d=75 90°	4	---	ც
16	01169	---	ზეძირკვლის გაზშემყვანის ნაცმი d=80 L=1.1	1	---	ც
15	01169	---	ზეძირკვლის გაზშემყვანის ნაცმი d=100 L=1.1	2	---	ც
14	01169	---	ზეძირკვლის გაზშემყვანის ნაცმი d=125 L=1.1	2	---	ც
13	21275	---	გადამყვანი ფოლადი-პოლიეთილენზე d=40xd=50	1	---	ც
12	21275	---	გადამყვანი ფოლადი-პოლიეთილენზე d=50xd=63	2	---	ც
11	21275	---	გადამყვანი ფოლადი-პოლიეთილენზე d=70xd=75	2	---	ც
10	21971	---	პოლიეთილენის მილი d=50 ზომაგრძელი	60	---	მ/მ
9	21971	---	პოლიეთილენის მილი d=63 ზომაგრძელი	40	---	მ/მ
8	21971	---	პოლიეთილენის მილი d=75 ზომაგრძელი	40	---	მ/მ
7	25283	---	პოლ. სამკაპი d=75xd=50	1	---	ც
6	22481	ГОСТ 17375-83	მუხლი d=40 90° (ფოლადის)	1	0,3	ც
5	21718	ГОСТ 17375-83	მუხლი d=50 90° (ფოლადის)	1	0,54	ც
4	00451	ГОСТ 17375-83	მუხლი d=70 90° (ფოლადის)	1	1,03	ც
3	24078	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	სწორნაკერიანი ელ. შენადუღი ფოლადის მილი d=40	3,0	2,12	მ/მ
2	19959	ГОСТ 10704-76 В20 ГОСТ 10705-80	სწორნაკერიანი ელ. შენადუღი ფოლადის მილი d=50	4,0	2,71	მ/მ
1	20205	ГОСТ 10704-91 В20 ГОСТ 10705-80	სწორნაკერიანი ელ. შენადუღი ფოლადის მილი d=70	4,0	5,40	მ/მ
№	კოდი	სახელმწიფო სტანდარტი ან შიფრი	დასახელება	რაოდ	მასა/კგ	განზ
სპეციფიკაცია						

დამკვეთი:	შპს „თბილისი ენერჯი"		
შემსრულებელი:	შპს "ენერჯი კონსტრაქშენ"		
დაპროექტა	ქ. ბატიაშვილი		
შეამოწმა	ლ. ბულასლაური		
ჭელის რეკონსტრუქცია			

თბილისი ენერჯი / TBILISI ENERGY

დაკვეთა №	02-01-20134-22
თარიღი	13.04.2022

დასახლება ვაზისუბანი, კორპ. №5-ის მიმდ.
საკ.კოდი №01.17.10.002.296
შპს "მოლი პლიუსი"

აქს-სქემა, სპეციფიკაცია.

ფურცელი	ფურ-ბი
2	2